სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080131654647521

№ 131 21 / იანვარი / 2021 წ.

სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიუროსთვის“ სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვით განხორციელების შესახებ თანხმობის გაცემის თაობაზე

აღწერილობითი ნაწილი

1. ინფორმაცია მომართვის თაობაზე

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2021 წლის 18 იანვარს სახელმწიფო შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემის SMP მოდულის მეშვეობით წარმოდგენილ იქნა სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიუროს“ SMP210000067 მომართვა გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე თანხმობის გაცემის შესახებ.

2. შესყიდვის ობიექტი და ღირებულება

მომართვის მიხედვით, შემსყიდველი ორგანიზაცია გეგმავს, სსიპ „აღსრულების ეროვნულ ბიუროს“ ბალანსზე რიცხული 77 ერთეული ავტოსატრანსპორტო საშუალების ტექნიკური მომსახურების (CPV- 50100000 - სატრანსპორტო საშუალებებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება, ტექნიკური მომსახურება და მასთან დაკავშირებული მომსახურებები; 50110000 - ავტომობილებისა და მათთან დაკავშირებული მოწყობილობების შეკეთება და ტექნიკური მომსახურება) შესყიდვას, ღირებულებით 9700 ლარი.

3. შემსყიდველი ორგანიზაციის დასაბუთება

შემსყიდველი ორგანიზაციის განმარტებით, ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა აუცილებელია, რათა საფრთხე არ შეექმნას სსიპ „აღსრულების ეროვნულ ბიუროს“ ფუნქციონირებას და თანამშრომლების მიერ სამსახურებრივი მოვალეობების დროულ შესრულებას. აღნიშნულთან დაკავშირებით გამოცხადებული NAT200020170 ელექტრონული ტენდერი მიმდინარე პროცესშია.

შემსყიდველი ორგანიზაციისვე განმარტებით, გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების დადგომა გამოიწვია NAT200020170 ელექტრონული ტენდერის პროცედურების გაჭიანურებამ, რომლის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელი იყო. აღსანიშნავია, რომ შექმნილი ვითარება მნიშვნელოვან ზიანს აყენებს შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას, ვინაიდან, შესყიდვის განუხორციელებლობის შემთხვევაში შეფერხდება სსიპ „აღსრულების ეროვნულ ბიუროს“ სამუშაო პროცესი. შესაბამისად, საჭიროა შესყიდვა განხორციელდეს დროულად.

4. დაინტერესებული პირ(ებ)ის მოსაზრება

საკითხთან დაკავშირებით დაინტერესებულ პირებს სისტემის SMP მოდულში მოსაზრება არ გამოუხატავთ.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

სააგენტომ იმსჯელა შემსყიდველი ორგანიზაციის მომართვაზე, შეაფასა მასში მითითებული ინფორმაცია და დაადგინა, რომ იგი აკმაყოფილებს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17

აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მოთხოვნებს.

6. სააგენტოს შეფასება

სააგენტო მიიჩნევს, რომ სახეზეა გადაუდებელი აუცილებლობით შესყიდვის განხორციელების საჭიროება, იმდენად რამდენადაც, გადაუდებელი აუცილებლობის ვითარების დადგომა გამოიწვია NAT200020170 ელექტრონული ტენდერის პროცედურების გაჭიანურებამ, რომლის წინასწარ განსაზღვრა შეუძლებელი იყო. აღსანიშნავია, რომ შექმნილი ვითარება მნიშვნელოვან ზიანს აყენებს შემსყიდველი ორგანიზაციის ფუნქციონირებას, ვინაიდან, შესყიდვის განუხორციელებლობის შემთხვევაში შეფერხდება სსიპ „აღსრულების ეროვნულ ბიუროს“ სამუშაო პროცესი. შესაბამისად, საჭიროა შესყიდვა განხორციელდეს დროულად.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ NAT200020170 ელექტრონული ტენდერის შედეგის დადგომამდე, ვითარების აღმოსაფხვრელად საჭირო მოცულობის მომსახურების შესყიდვა განხორციელდეს გადაუდებელი აუცილებლობის საფუძვლით.

ამასთან, სააგენტო მოუწოდებს შემსყიდველ ორგანიზაციას, რომ მან სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა განუხრელი დაცვით, რათა კონკურენტული და არადისკრიმინაციული გარემოს შექმნით უზრუნველყოფილ იქნას შესყიდვებისათვის განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური და გამჭვირვალე ხარჯვა. ასევე, შემსყიდველმა ორგანიზაციამ უზრუნველყოს რელევანტური მიმწოდებლის შერჩევა და ამ შერჩევასთან დაკავშირებული პროცედურების კანონიერება. დამატებით აღვნიშნავთ, რომ წარმოდგენილი ინფორმაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება შემსყიდველ ორგანიზაციას.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს № 13 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმებისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის“ მე-7 მუხლის პირველი და მე-6 პუნქტებით და დაადგინა:

1.დაკმაყოფილდეს სსიპ „აღსრულების ეროვნული ბიუროს“ SMP210000067 მომართვა და შემსყიდველ ორგანიზაციას მიეცეს თანხმობა გამარტივებული შესყიდვის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამპდასმულია
ელექტრონულად

ლევან რაზმაძე